სარგიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი | გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან | პარასკევი, 28 ივნისი | 1996 № 61 (286) | ფასი 30 თეთრი

სისხლიანი მატჩი ტრაფალგარზე

რუსი რაღა შუაში იყო?

UEFA EURO 96 England

ინგლისი გერმანიასთან რომ დამარცხდა, რამდენიმე წუთში ხუთშაბათიც გახდა. სწორედ ახალმა დღემ მოიტანა საზარელი მტვრევა და ღეწვა, წაგებით გაშმაგებულმა ინგლისელმა ფანებმა რომ მოაწყვეს ლონდონსა და მის გარეუბნებში. ეს იყო პირველი სერიოზული ხულიგნური ინციდენტი, ევრო-96-ის თითქმის სამკვირიან ისტორიაში რომ მოხდა.

თამაშს 75 ათასი ინგლისელის გარდა, დაახლოებით 20 მილიონი მათივე თანამემამულე ტელემაყურებელი ადევნებდა თვალს. მარცხმა ალბიონის ყველა კუნჭულში გამოიწვია რეაქცია — „ცხელ წერტილებად“ ძირითადად პაბები და ბარები იქცნენ. თუმცა, იქ სერიოზული არაფერი მომხდარა. უმთავრესი არეულობა ლონდონის ცენტრში, ტრაფალგარის მოედანზე მოუწყო. ინგლისურ-ბრიტანული დროშებით ხელდამშვენებული რამდენიმე ასეული ფანი მოედნის შუაგულში აღმართულ ადმირალ ნელსონის სვეტსა და მიმდებარე შადრევნის შორიახლოს განლაგდა. პოლიციამაც წინასწარ იგრძნო არეულობა და დიდი პიკეტები ჩააყენა.

ახალმა დღემ მოიტანა საზარელი მტვრევა და ღეწვა, წაგებით გაშმაგებულმა ინგლისელმა ფანებმა რომ მოაწყვეს ლონდონსა და მის გარეუბნებში

წესრიგის დამცველები თან გრძელ ხელკეტებს ატრიალებდნენ და განსაკუთრებით აღგზნებულებს მისი დაკვრით დააშშინებდნენ ხოლმე. საუბედუროდ, დიდხანს ასე არ გაგრძელებულა. ბრბომ იხუვლა და გზად ყველაფერი წალეკა. ფანებმა პოლიციას დასცინეს, ხელჩართული ომი გაუმართეს, გაჩერებულ მანქანებს ფანჯრებს უმსხვრევდნენ და ატრიალებდნენ, მაღაზიების და რესტორნების მინები ხომ არცერთი მთელი არ დატოვეს... რამდენიმე ფანი მანქანების კაპოტებზე შეხტა. მათ პარპაშები ჩაამტვრიეს და მძღოლებს ჭრილობები შიაყენეს. ზოგი გულშემატკივარი ნაგვის ურნებსა და შუშის ბოთლებს ესროდა ცალკე პოლიციას, ცალკე — მიმავალ მანქანებს.

შეშინებულმა გერმანელებმა უკანმოუხედავად მოუსვეს და თავი ტრაფალგარის ახლობელ სოჰოს უბანს შეაფარეს

პოლიციამ რკინის დიდი ფარებით გზა გადაკეტა, აქაოდა, კონფლიქტის ლოკალიზებას მოვახერხებთ და მერე ჯანყს ადვილად ჩავახშობთო. რამდენიმე ფანი მაინც გასცდა „ბრძოლის ველს“ და თემზის ნაპირას ორ მანქანას ცეცხლი წაუკიდა.

ბრბომ იხუვლა და გზად ყველაფერი წალეკა.

ტრაფალგარზე მყოფ მრავალ ადამიანს ხულიგნების მიერ ნასროლი ბოთლებით და ხურდებით თავი გაუტყდა. ზოგიერთ მათგანს სახე დასისხლიანებოდა. ერთ-ერთი მოქალაქე პოლიციელებს მიუბრუნდა და უთხრა: „აქ არც არაფერი მოხდებოდა, თქვენ რომ არ მთრეულიყავით. წინააღმდეგობა და ჩხუბი თქვენ გამოიწვიეთ, დამორჩილებოდით ბრძანებას და ყველაფერი წყნარად მორჩებოდა.“

ცოტა ხნის შემდეგ ეგზალტირებულმა ბრბომ ტრაფალგარიდან ჩრდილოეთით, ეროვნული გალერეისკენ გადაიწია. ფანები გალერეის კიბეებსა და სვეტებზე განლაგდნენ და ბრიტანელთა ეროვნული საგანძურის ფანჯრების მტვრევა დაიწყეს.

გამხეცებულები გალერეის კიბეებსა და სვეტებზე განლაგდნენ და ბრიტანელთა ეროვნული საგანძურის ფანჯრების მტვრევა დაიწყეს.

ამ დროს გერმანელი გულშემატკივრები ფატერლანდის დროშებით შეიარაღებულნი, ცენტრალურ ლონდონში მიმოდიოდნენ. ის იყო, ტრაფალგარისკენ ჩაუხვიეს, რომ ზემოაღწერილ სცენას წააწყდნენ. შეშინებულმა გერმანელებმა უკანმოუხედავად მოუსვეს და თავი ტრაფალგარის ახლობელ სოჰოს უბანს შეაფარეს. საზოგადოდ, ეს სოჰო ლონდონისა და მთელი ინგლისის გარყვნილების ბუდეა, მაგრამ დაზაფრულ გერმანელებს რა ეგარყვნილებოდათ, როცა სიკვდილს ძლივს გადაურჩნენ. დიახ, სიკვდილს, რადგან ზუსტად ამ მომენტში ინგლისელმა ფანებმა დანით მძიმედ დაჭრეს ჯიდაც საცოდავი რუსი სტუდენტი, გერმანელი გეეგონაო.

ლონდონის პოლიციამ, ცხადია, საყოველთაო მობილიზაცია გამოაცხადა: უუმბლიზე და სხვა საჭვო ადგილებზე პოლიციელთა გაძლიერებული კორდონები გაემგზავრნენ. ღამის განმავლობაში დააპატიმრეს 82 კაცი, 28 ადამიანი დაშავდა, ათი კი ჰოსპიტალში გააქანეს.

ამ ლონდონურ მტვრევას ქვეყნის სხვა წერტილებშიც ჰქონდა გამოძახილი. დედაქალაქის დასავლეთით — აყირავებდნენ მანქანებს, ღეწავდნენ მათ ფანჯრებსა და მაღაზიის ვიტრინებს. ლონდონის ჩრდილოეთით, ქალაქ ბედფორდში 300-400-მა ახალგაზრდამ რბევა მოაწყო — მანქანები და ვიტრინები ხომ თავისთავად, თავად მაღაზიებშიც შეიჭრნენ და იქაურობაც მოსპეს. არეულობა ბედფორდის მახლობელ სოფლებსაც მოედო. პოლიციამ წესრიგის აღდგენა სცადა, მაგრამ სანაცვლოდ ქვები და ხის ნაფოტები მიიღო.

არეულობა ბედფორდის მახლობელ სოფლებსაც მოედო.

პოლიციის ოფიცერმა ტონი როუმ განაცხადა, რომ ტრაფალგარზე მომხდარ წმინდა წყლის ხულიგნობაა. ამას ვერც აღელვებას დაბრალებ და ვერც განრისხებას. ამ საძაგლობას ფეხბურთთან რა ესაქმება. ამ ხალხს ფანები როგორ ვუწოდოთ, ესენი ხულიგნები და კრიმინალები არიანო.

მოხდა ზუსტად ის, რაც ბრიტანულმა პოლიციამ და უშიშროებამ კარგა ხნით ადრე ივარაუდა. მოქმედება კი ზუსტად გერმანიისა და შვედეთის სცენარით წარიმართა. ამ ქვეყნებში ევროპის წინა ორი ჩემპიონატი ჩატარდა და ინგლისელმა ფანებმა საარაკო ხულიგნობითა და მუშტი-კრივით გამოიჩინეს თავი. ევრო-96-ის უშიშროების უზრუნველსაყოფად 25 მილიონი გირვანქა სტერლინგი დაიხარჯა, მაგრამ საქმეს მაინც არაფერი ეშველა.

REUTERS მანჩესტერიდან

ფრანგთა წუწუნი

ჩეხთაგან ფრანგების ძლევა მსოფლიოსთვის სიურპრიზი გახლდათ, მოგებულთათვის ტრიუმფი, წაგებულთათვის იმედგაცრუება. ჩემპიონატის სხვა მოულოდნელობებთან ერთად ეს შეხვედრაც კარგა ხანს იქნება განსჯის საგნად. აქ, ზეზეულ შეფასებებს გთავაზობთ:

ეოსელინ ანგლომა: ფიზიკური მომზადების გამო წავაგეთ. ეტყობა, ჩვენი ფეხბურთელები გადაღლილნი იყვნენ. პირადად მეც უკმაყოფილო ვარ, რადგან უმეტესად სათადარიგოთა სკამზე ვიჯექი. რას იზამ, ფეხბურთი ასეთია.

კრისტიან კარემბუ: მართლაც ძალიან დაღლილები ვიყავით. აღარაფერი გვქონდა საერთო იმ გუნდთან, პირველ თამაშებში რომ იყო.

მარსელ დესაი: ჩეხებმა დიდებულად ითამაშეს. ჩაიგდებდნენ ბურთს და იცდიდნენ, სანამ ოთხნი ან ხუთნი კარგ მდგომარეობას შეარჩევდნენ, და შემდეგღა აგრძელებდნენ მოქმედებას.

საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელი ემე ჟაკე: ვაფრთხილებდი ჩემს ფეხბურთელებს, ჩეხების სტილის გუნდს ჯერ არ შეხვედრივართ-მეთქი. ისინი უკან დგანან, ბურთს იგდებენ და ელვისებურად უტევენ. მათი სტილის დაძლევა ვერ შევძელით. თამაშის მიწურულს მეტოქე, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, გვებრძოდა. ჩვენ კი მთლიანად ვერ დავიხარჯეთ, რადგან ყვითელი ბარათების გვეშინოდა. დიდი ზეწოლის ქვეშ ჩემებმა მაინც სცადეს თავიანთი ფეხბურთის თამაში, მაგრამ ენერგია აკლდათ. შეჯიბრებას კი გამოვეთიშეთ, მაგრამ, ვგონებ, საერთოდ კაგად ვიასპარეზეთ. საფრანგეთში ჩვენით ამაყობენ. არ ვიცი, ვიმსახურებდით გამარჯვებას თუ არა. ეს ფეხბურთია. რაც შეეხება ფინალს, იქ ერთი თამაშია და ამიტომ ჩეხებს შანსი აქვთ. თუ სტილს და ენთუზიაზმს შეინარჩუნებენ, ყველაფერი შესაძლებელია.

ყველაზე კმაყოფილი კაცი

ჩეხთა მწვრთნელი დუშან უჰრინი მთელს თუ არა, ნახევარ ევროპაში მაინც პირველი კაცია. ხუმრობა საქმეა, ჩემპიონატის დაწყებამდე აუტსაიდერად შერაცხულმა გუნდმა ფინალში გააღწია. ნახევარფინალში კი ოთხი წამყვანი მოთამაშის არყოლის მიუხედავად, ევრო-96-ის არაოფიციალური (ბუქმეიქერების მიხედვით) ლიდერი საფრანგეთიც იმსხვერპლა. რა თქმა უნდა, ჩეხების თამაშს ევროპაში მიმზიდველობით საუკეთესო არ ეთქმის, მაგრამ ბრწყინვალედ ორგანიზებულმა დაცვამ და სწრაფმა კონტრშეტევებმა მაინც თავისი ჰქნა. და რა თქმა უნდა, პაველ პობორუსკი. პრაღის „სლავიას“ 24 წლის ფეხბურთელი იქნებ მთელს ევრო-96-ზეა საუკეთესო და ისიც ცხადია, რომ მას ჩეხეთში აღარავინ გააჩერებს. პობორუსკისკენ პირველმა „ლივერპულმა“ გაიწია, რომელიც მზადაა, ნებისმიერ ფასად შეიძინოს ევროპის ახალი ვარსკვლავი.

. ჰოდა, უჰრინსაც ნელ-ნელა იმედი მიეცა: „ნახეთ ნახევარფინალში ჩემი ბიჭები? მათ 120 წუთი გულიანად და ვაჟკაცურად ითამაშეს. ვამაყობ, რომ ასეთი გუნდის მწვრთნელი ვარ.“ საფინალო პროგნოზიც კი ასეთი აქვს: „სურვილი მქონდა, ფინალში ინგლისთან გვეთამაშა, მაგრამ ისევ გერმანიასთან მოგვიწევს ჭიდილი. რას იზამ, ჩემპიონატის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდთან გველის შეხვედრა. სულაც არ მგონია, რომ გერმანია ტურნირის განმავლობაში დასუსტდა, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი წამყვანი მოთამაშე დაუშავდა და გამოაკლდა. ყველა გერმანელი, ვინც კი ფინალში ითამაშებს, ყოველივე საუკეთესოს გამოვლენას შეეცდება.“

კაცი დაეჭვდება, უჰრინს ხომ არ ეშინიაო, მაგრამ, არა, მოუსმინეთ: „რაც ზემოთ მოგახსენეთ, სულაც არ ნიშნავს, რომ გერმანიის გვეშინია. ყველა ჩეხი ფეხბურთელი მოუთმენლად ელის თამაშს. ჩვენთვის დიდი შედეგია ფინალში გასვლა, მაგრამ იმასაც დამტკიცება უნდა, რომ აქამდე ტყუილად არ მოვსულვართ.“

გერმანულ ფეხბურთში ჩეხთა ერთ-ერთმა ემისარმა, „კაიზერსლაუტერნის“ მცველმა მიროსლავ კადლეცმა ნახევარფინალში გადამწყვეტი პენალტი გაიტანა. ამხელა ფსიქოლოგიური ტვირთი როგორ აიკიდეო, რომ ჰკითხეს, უპასუხა: „არავის სურდა მეექვსე თერმეტმეტრიანის დარტყმა. არც მე, მაინცდამაინც. მაგრამ ბოლოს გადავწყვიტე ჩემს თავზე ამელო ყველაფერი და კიდევ, არ მინდოდა, ამის გამო გუნდში დავა და კამათი ამტყდარიყო.“

ქორწილამდე არ მოუსრჩება

ჩეხეთის ნაკრების ფორვარდმა ვლადიმირ შმიცერმა და მისმა საცოლემ პავლინა ვიზეკმა ჯვრისწერა დღეს, 28 ივნისს გადაწყიტეს. მათ ეს დღე კარგა ხნით ადრე შეიგულეს, მაგრამ, რა იცოდა ან ერთმა, ან მეორემ (ან საერთოდ ვინმემ), რომ ჩეხები ფინალში გავიდოდნენ და ქორწილს ჩაშლა დაემუქრებოდა.

თუმცა, სიძე-პატარძალმა იხტიბარი არ გაიტეხა და არც ქორწილი გადასდო. გუშინ შმიცერი მანჩესტერიდან პრაღაში გაფრინდა. დღეს დილით იქორწინებს, სადამოს კი გვირგვინდადგმულ პავლინასთან (უკვე პანი შმიცეროვასთან) ერთად ალბიონს დაუბრუნდება. ახალშეუღლებულნი ჩეხეთის ნაკრების ახალ ბაზაზე, ლონდონის ჩრდილოეთით დაბინავდებიან.

ცხადია, ქორწილი შმიცერის თანაგუნდელების გარეშე ჩაივლის. ფოტოგრაფებს კი საქორწინო ფოტოებზე გვარიანი მონტაჟი-რეტუშის გაკეთება მოუწევთ, რათა სიძე ლამაზად გამოაჩინონ. მოგეხსენებათ, ნახევარფინალში შმიცერი ლილიან ტურამს შეეჯახა და თავი გაიტეხა. ქორწილზეც ოთხ ზორბა ჭრილობას ნაკერები დაუმშვენებს.

დავიდარაბა წყალტუბოში

სამგურალი 2:1 ანჯელი

სამგურალი: ა. ჯანელიძე, ქობულაძე, მანაგაძე, ბელაშვილი, გ. ჯანელიძე, უშვერიძე, ბუნტური (თოდაძე 75), ესაიაშვილი, მეგრელაძე, ხურცილავა, ჯანაშია (მუმლაძე 60)

ანჯელი: სტურუა, ვაშაკიძე, ჭანტურია, კურძევაძე, ხელაძე, ბ. თურმანიძე (ივეჩიანი 46), ანჯაფარიძე, ტონია, ბაკურაძე (კუჭუხიძე 60), ქვილითაია

გაფრთხილება: ქვილითაია

გაძევება: ჭანტურია

1:0 ხურცილავა (20 პ), **1:1** ქვილითაია 65, **2:1** მეგრელაძე (70)

მსაჯი: მ. კობიაშვილი (დუშეთი)

78-ე წუთზე თამაში შეწყდა სტუმრების მოედნიდან გასვლის გამო.

ზონის ლიდერთა ბოლო ტურის ამ მატჩს I ჯგუფში გადამსვლელი გუნდის ვინაობა უნდა გაერკვია, ასე რომ, შეხვედრის პრინციპულობაზე ლაპარაკი ნამდვილად ზედმეტია. არც მათ ქომაგთა ინტერესი იყო გასაკვირი, მაგრამ სკანდალურ დასასრულს ბევრი მაინც არ ელოდა.

აბაშელთა მხარდასაჭერად წყალტუბოში ჩამოსული გულშემატკივრები თავიდანვე აგრესიულად იყვნენ განწყობილნი და მთელი თამაშის მანძილზე არ შეუწყვეტიათ მსაჯის შეურაცხმყოფელი შეძახილები. ამის მიზეზი მათ მართლაც ჰქონდათ, რადგან დუშელი მალხაზ კობიაშვილი ხშირად სცოდავდა, უფრო კი მასპინძელთა სასარგებლოდ. პირველი საჭვო თუ სადაო სიტუაცია მე-20 წუთზე შეიქმნა, როცა ამ ღღეს კარგად მოთამაშე კახა ესაიაშვილმა მარცხენა ფლანგიდან საჯარიმოს ცენტრში მერაბ მეგრელაძეს მიაწოდა, როშელსაც ვაშაკიძემ დაასწრო და ბურთი კუთხურზე მოიგერია. ჩამოწოდებულზე მამუკა ვაშაკიძემ ესაიაშვილი წააქცია და მსაჯმაც, ცოტა არ იყოს, სათუო პენალტი დანიშნა. თერთმეტმეტრიანი ზუსტად შეასრულა ხურცილავამ და ანგარიში გახსნა. 5 წუთში თამაში მცირე ხნით შეწყდა. მინდორზე აბაშელთა მწვრთნელი ბაღრი ქორიძეც კი შევიდა და მხოლოდ პოლიციელთა ჩარევით მოხერხდა თამაშის გაგრძელება.

შესვენებაზე სტუმრებმა ნერვები მოთოკეს. ჯერ ერთი შეცვლა განახორციელეს, მე-60 წუთზე კი მეორე სათადარიგოც გამოიყვანეს. ამან თამაში მათ სასარგებლოდ გადასხალა და 65-ე წუთზე ანგარიშიც გათანაბრეს. ეს აბაშელთა კაპიტანმა ქვილითაიამ შეძლო: ფლანგიდან ჩამოწოდებულ ბურთს მან თავი დაუხვედრა და მისკენ წამოსულ მეკარეს შორეულ კუთხეში გუტანა ბურთი. ეს იყო და, სტუმრები დაცვაში ჩადგნენ. 2 ქულით წინ მყოფთ ხომ ფრე ხელს აძლევდათ. მაგრამ 70-ე წუთზე საჯარიმოს მისადგომებთან დაწინაურდნენ და სამგურალელმა მერაბ მეგრელაძემ 20 მეტრიდან გაიტანა ჯარიმა. რაკი წყალტუბოელები დაჯარიმდნენ, სტუმრები კვლავ დაიბნენ. უარყოფითი ემოციები ვერ დაიმალა და საბედისწერო და ამ თამაშისთვის საბოლოო 78-ე წუთი გამოდგა. ამ მომენტში უშვერიძემ მოედნის ცენტრიდან პასი მიიღო და მარჯვენა ფლანგზე გაჭრილმა საჯარიმოში ჩაწოდა, სადაც მეგრელაძე მოცელეს. პენალტი უდავო იყო, მაგრამ აბაშელები გვერდით მსაჯს მერაბ ჭელიძეს მივარდნენ იმ პრეტენზიით, რომ უშვერიძემ ბურთი თამაშგარეშე მიიღო. აბაშელები არც კობიაშვილთან გაწეე-გამოწევას მორიდებიან და ვერაფერი რომ ვერ გააწყვეს, თამაში მიატოვეს. მსაჯებმაც და სამგურალელებმაც დარჩენილი 12 წუთი მინდორზე დაჰყვეს, მერე კი სადავიდარაბო გამარჯვება და I ჯგუფში დაბრუნება იზეიმეს.

თამაშისს შემდეგ „სამგურალის“ პრეზიდენტმა გრიგოლ ქათამაძემ აღნიშნა, რომ მათმა შრომამ და წყალტუბოს გამგებლის მირზა ქორქაშვილის მხარდაჭერამ შედეგი გამოიღო. მიზნად კი გუნდს I ჯგუფში დარჩენა და საუალოზე მაღალ დონეზე თამაში დაუსახა.

ვეტერანმა მერაბ მეგრელაძემ განაცხადა, თითქმის გადაწყვეტილი მაქვს თამაშს შევეშვა, მაგრამ არც ისაა გამორიცხული, კარიერა ერთი სეზონითაც გავიხანგრძლივოო.

მთავარმა მწვრთნელმა სოსო ფრუიძემ ასეთი სკანდალური გამარჯვების შემდეგ რაიმეს თქმა იუნერხული — არ მინდა, გამარჯვებულის პოზიციიდან ქედაღრეულად ვილაპარაკოო.

დათო დათიაშვილი

წყალტუბოდან

მომწონს, არ მომწონს...

ევროპის ჩემპიონატზე ფინალიღა დარჩა სათამაშო. ვფიქრობთ, დაგაინტერესებთ, რას ფიქრობენ ჩვენი ეროვნული ნაკრების წევრები ინგლისურ მატჩებზე, ვინ და რა მოსწონთ, ან პირიქით. დღეს სამი მათგანის აზრს გაგაცნობთ.

ირაკლი ზოლიძეს ევროპის ჩემპიონატის მეკარეთაგან კეპკე, სიმენი და ვან დერ სარი მოეწონა...

— საერთოდ, ყველა გუნდი ინგლისში ძლიერი მეკარით ჩავიდა. არ ყოფილა შემთხვევა, რომელიმე გუნდს მეკარის შეცდომით წაეგოს. ახლანდელი მეკარეებისგან არა მარტო კარში საიმედო თამაშს ითხოვენ, არამედ დამატებით, ფიქტიურად, ლიბეროს ფუნქციებსაც აკისრებენ. ამ მხრივ სიმენი და კეპკე შეუდარებელნი არიან. განსაკუთრებით სიმენი. იგი ბრწყინვალედ თამაშობს ფეხით, მაგრამ მე მაინც კეპკეს ვამჯობინებდი.

— მაინც რით სჯობს კეპკე სიმენს?

— ორივე საიმედო, მშვიდი და თავდაჯერებული მეკარეა. არ უჭირთ ამა თუ იმ სათამაშო სიტუაციის წაკითხვა, მაგრამ კეპკე უფრო მიზანმიმართულია. გადამწყვეტ სიტუაციაში ის უფრო ახერხებს სიმშვიდის შენარჩუნებას და გუნდის გადარჩენას, მაგრამ, საბოლოოდ, რაც არ უნდა ჩხრიკო, ფაქტი ერთია — ორივენი სასწაულად ცივსისხლიანები არიან.

— ნახევარფინალური მატჩები გავიხსენოთ და შევადაროთ ლამას, კოუბას, სიმენის და კეპკეს თამაში.

— ლამას და კოუბას მთელი 120 წუთი შეცდომა არ დაუშვიათ, მშვიდად და აუღელვებლად ითამაშეს. კოუბასი არ ვიცი, მაგრამ ლამასგან ეს განსაკუთრებით გასაკვირი იყო. არაერთ ადრინდელ თამაშში თითო საბედისწერო შეცდომას მაინც უშვებდა. როცა ჯერი პენალტების სერიაზე მიდგა, რომელიც, ფაქტიურად, ლატარიაა, არც ლამა და არც კოუბა ასალებად არცერთ ბურთზე არ გადამზტარან. ისინი მთლიანად შემთხვევითობის იმედად დარჩნენ. მეტსაც გეტყვით, კოუბამ აღებული თერთმეტმეტრიანი, ასე ვთქვათ, გაუშვა: პედროსის დარტყმული ბედად მოხვდა.

სიმენი და კეპკე პირიქით. მართალია, მათ თამაშში თითო ბურთი გაუშვეს, მაგრამ იმ მომენტებში მცველებს ჩაეძინათ, თერთმეტმეტრიანებისას კი ორივე ყველა პენალტის ალებას ჯიგრიანად შეეცადა. განსაკუთრებით გერმანელს გამოვარჩევდი. მან თავისი მაღალი კლასი დაამტკიცა, სიმენმა კი ამჯერად ვერ გადაარჩინა ინგლისი.

— მცველებზე რას გვეტყვი?

— თქვენ წარმოიდგინეთ, ამ ჩემპიონატზე ისინიც უფრო მაგრები იყვნენ, თუმცა, რა თქმა უნდა, ცდებოდნენ კიდეც. ასეთ მომენტებში მეკარე იშვიათად თუ უშველიდათ. ისე, ყველამ უშეცდომოდ რომ ითამაშოს, გოლიც არ გაივიდოდა. ჩემი აზრით, გერმანელებს და ჩეხებს ძალიან კარგი მცველები ჰყავთ. მათ უკან მეკარეც იმედიანად და აუფორიაქებლად დგას.

— შენი აზრით, რა გვანახა ახალი ამ ჩემპიონატმა?

— ის, რომ დღეს ფეხბურთის თამაში ყველამ ისწავლა და ხელწამოსაკრავი აღარავინაა. გუნდები თითქმის თანაბარი ძალისანი არიან, ხოლო ფიზიკურად ყველა ჩინებულად არის მომზადებული. ეგაა, მხოლოდ: ზოგიერთს გამოცდილება არ ჰყოფნის. გამოცდილება კი ბევრს ნიშნავს ასეთი რანგის თამაშებში.

— ფინალს ვინ მოიგებს?

— გერმანია. მათ სანიმშო დისციპლინა, საუცხოო ფიზიკური მომზადება, სწრაფი აზროვნება და სწორი ტაქტიკური მონახაზი გამოარჩევთ. ეს ყველაფერი ჩეხებსაც კი გააჩნიათ, მაგრამ გერმანელებს, ჩემი აზრით, უკეთესი შემსრულებლები ჰყავთ. ბურთი კი მრგვალია და ყველაფერი შეიძლება მოხდეს, მაგრამ მაინც გერმანიაზე ვდგევარ.

ქახა გოგიჩაიშვილი იმას დაუფიქრებია და აუღელვებია კიდეც, რომ გუნდების დონე თითქმის გათანაბრდა.

— ფიზიკურად ყველა მშვენივრად არის მომზადებული, ტაქტიკურადაც სწორად, გამართულად თამაშობენ და ყველა რგოლში თანაბარი ძალის, საშუალო სიძლიერის ფეხბურთელები არიან. მოკლედ, ფეხბურთმა სანახაობრივი მხარე დაკარგა. მოთამაშეები ნაკლებად ფიქრობენ იმპროვიზაციაზე, სილამაზეზე. მთავარია შედეგი, დასახული მიზნის მიღწევა, ხოლო დანარჩენს კი პატრონიც მოჰკვდომია. ამ მსჯელებმა ხომ სულ აიშვეს. ისე არიგებდნენ წითელ-ყვითელ ბარათებს, გვეონება, წარა-მარა ჯიბეში ხელის ფათური სიამოვნებოთ. ამას რომ თავი დავანებოთ, თითო მატჩში იმდენჯერ ცდებიან, ბარე ორ ჩემპიონატს ეყოფოდა კიდეც. ის როგორიღაა, რომ ეს ჩემპიონატი, ფაქტიურად, უფასკლავებოა. ინგლისში ისეთი ფეხბურთელი არც ერთ გუნდს არ წაუყვანია, საჭირო დროს თამაშის სადავეების ხელში აღება და გადამწყვეტი სიტყვის თქმა რომ შეეძლოს. მოკლედ, ეს ჩემპიონატი საინტერესო კია, მაგრამ ცოტა უფერულიც არის...

— უფერულიც არსო, ამბობ, ბარემ კონკრეტული მიზეზებიც გეთქვა...

— წარმოიდგინე, საკის რობერტო ბაჯო, ვეალი და სინიორი რომ წაეყვანა, თან ჩეხებთან თამაშში ფანტაზიებით ზეცაში ფრენას შეშვებოდა და ქვეჯგუფის მეორე მატჩში რუსების მომგები შემდგენლობა გაეყვანა, რა მოხდებოდა. ან ემე ჯაკეს ისეთი რა ტაქტიკური სქემა ჰქონდა, რომ მასში კანტონასა და ჟინოლას ადგილი ვერ ნახა. აკი ორივემ იწვნია საკუთარი შეცდომების სიმწარე. თუ იტალიელებს მაინცდამაინც საბედისწეროდ არ ეტყობოდათ ბაჯო-ვიალი-სინიორის არყოლა, ფრანგებს ხომ თავდასხმის ნაცვლად ედგათ კედელი, რომელსაც ბურთი, უბრალოდ, ხვდება და უკანვე ბრუნდება.

— სხვა გუნდებზე რას იტყვი?

— ძლიერები იყვნენ ინგლისელები, მაგრამ მათ ბოლოს მაინც დაკლდათ შემართება. გერმანიის ამბავი ყველამ კარგად ვიცით, მათზე საერთოდ აღარაფერი მოქმედებს, რაც უნდა უსაშველო სჭირდეთ, მაინც ბოლომდე იბრძოლებენ და უმრავლეს შემთხვევაში მოიგებენ კიდეც. გასაკვირი იყო ჩეხების ასეთი კარგად ორგანიზებული და დისციპლინირებული თამაში. მათ ადგილზე ბევრი ხელს ჩაიქნევდა პირველი მარცხის შემდეგ, მაგრამ ამათ კარგ გუნდობას მწვრთნელის ძალიან გამჭრიახობაც დეემატა და აკი ფინალშიც არიან.

— შენი ამპლუის მოთამაშეთაგან ვის გამოარჩევდი?

— ციგეს, პობორეკის, მაკმანამანს. პირველ ორს მთელი ფრთის კონტროლი შეუძლია, მთელ ორ ტაიმს დაღლას არ იტყობენ. განსაკუთრებით პობორეკსი. იგი მაღალი დონის შემსრულებელიც არის. არ მეგონა, მაკმანამანი დაცვაშიც თუ ისე იმუშავებდა, მაგრამ, რომ გაჭირდა, განაპირა მცველობასაც მშვენივრად გაართვა თავი.

— ფინალისთვის რას იწინასწარმეტყველებ?

— ფეხბურთში უნივერსალიზმი დამკვიდრდა, ეს ფაქტია. ორივე ფინალისტს ასეთი ფეხბურთელები თითო-ოროლა როდი ჰყავს, მაგრამ თუ ყველა ნიუანსს გავითვალისწინებთ, გერმანელებს ძალიან გაუჭირდებათ გამარჯვების მოპოვება.

გიორგი ნემსაძეს ევროპელთა მეათე ჩემპიონატი ძალიან მოსწონს...

— ამ თამაშებს მე სხვა თვალით ვუყურებ და დიდი ინტერესითაც. ზოგი მწვრთნელისა და მსაჯის შეცდომების გარდა, მოსაწონიც ნაღდად ბევრია. ქვეჯგუფების პირველ მატჩებში გუნდები თამაშს მალავდნენ, მერე, რომ იტყვიან, გაიშიფრნენ, ბოლოს კი, აშკარაა, უნივერსალიზმი გაიმარჯვებს.

— შენ ერთი კარში არ გითამაშია, თორემ ყველა ამპლუაში ნაცადი გაქვს ძალა. ამიტომ, მოდი, შენი აზრით, დაცვაში, ნახევარდაცვაში და თავდასხმაში ხაუკეთესონი გამოარჩიე...

— მცველებში ხამერი მაინც ყველაზე მაგარია. ბევრი ამბობს, ხანდახან ცდებაო, მაგრამ, ჩემი აზრით, იგი საკმაოდ საიმედოა და წინაც ბევრი სარგებლობა მოაქვს.

ნახევარმცველებს ორ ხაწილად დავყოფდი: საყრდენი და თამაშის ორგანიზატორი. პირველთაგან მარსელ დესაი უკონკურენტოა, მიუხედავად იმისა, რომ ემე ჯაკე მას დაცვაში აყენებდა. საერთოდ, საფრანგეთის ნაკრებისა ვერაფერი გავიგე. მათგან ყველა მეტს ელოდა. ცდილობდნენ, ბურთი არ გაეშვათ, მოგებას კი გოლის გატანა რომ უნდა, არც უფიქრიათ. კარგები არიან ინსი და ჩეხი ბეიბლი, მაგრამ დესაი მაინც უბადლოა ამ ადგილზე.

რაც შეეხება შეტევების ორგანიზაციას, აქ ორს დავასახელებ — მიოლერს და გესქოინს. მათ შეუძლიათ თავიანთი დაწყებული თავადვე დააგვირგვინონ.

თავდასხმაში შეიძლება შირერი ან სტოიჩკოვი გამოჰყო, მიუხედავად იმისა, რომ ხრისტომ უფრო ცოტა ითამაშა, მაგრამ ხორვატი შეკერი მაინც უფრო ძლიერი ჩანდა.

— ჩეხები სამართლიანად გავიდნენ ფინალში?

— ეს უდავოა. ბევრიც რომ ილაპარაკო და იკამათო მათ ნაკლოვანებებზე, ფაქტი ერთია — ფინალში ისინი ითამაშებენ. ჩეხეთი ფიზიკურად ძლიერი, კარგად ორგანიზებული, თანაბარი ძალის ფეხბურთელებით დაკომპლექტებული გუნდია, მაგრამ პობორეკსი, ბერგერი და კუკა მაინც გამოირჩევიან. ერთად-ერთი, ალბათ, დრულაკია, რომელიც რიტმში ვერ ჯდება და ფინალში ალბათ არც ითამაშებენ.

— სამიოდე კარგი ფეხბურთელი პორტუგალიასაც ჰყავდა, თან ძალიან ტექნიკური და შეთამაშებული გუნდიაო, ამასაც ხაზგასმით ამბობდნენ. ამათ რალა დაემართათ?

— პორტუგალიელებმა ქვეჯგუფის მატჩები და მეოთხედფინალის პირველი ტაიმი კარგად ითამაშეს, მაგრამ საბოლოოდ მაინც სუსტხერხემლიანები გამოდგნენ. ჩეხებთან გაშვებულმა გოლმა ძალიან დააბნია, ასეთებს კი ნახევარფინალში და ფინალში არაფერი ესაქმებათ.

— პენალტებით მოპოვებულმა გამარჯვებებმა გერმანელებისა და ჩეხების ნარმატება ხომ არ გააუფერულა?

— სასურველია, მოგება 90 წუთში გაიღადო, მაგრამ სწორედ აქ გამოჩნდა მათი სიმტკიცე. ორივე გუნდის მოთამაშეებმა დაამტკიცეს, რომ ნაღდი კაცები არიან და მუხლები არ უკანკალებთ, ფინალშიც ერთმანეთს მაგრად დაკორტნიან, მაგრამ, რატომღაც მგონია, რომ გერმაანია იქნება პირველი.

მამუკა კვანტალიანი



გიორგი ნემსაძის შეფასებით ზის ფრანგ კოლეგას მარსელ დესაის თავის პოზიციაზე ბადალი არ ჰყავდა

სარბიელი

ტოტალიზატორი "CROCO"

ევროპის ჩემპიონატი

30 ივნისი, ფინალი

გერმანია — ჩეხეთი	1,4	3,2	4,4

ევროპის ჩემპიონატის მოგების ფსონები

გერმანია	1,25	ჩეხეთი	3,1

ინტერტოტოს თასი

II ტური, 29-30 ივნისი

ჰაპოელი (ჰ) — კლიფტონვილი	1,05	3,6	8,0
შტუტგარტი — ოლბორგი	1,25	3,4	4,4
იურგარდენი — აპოლონი	1,1	3,4	6,5
ტოფტერი — ლინცერი	5,6	3,4	1,15
კეფლავიკი — მარიბორი	2,3	3,0	1,8
კოპენჰაგენი — ერებრუ	1,5	3,0	3,4
ქონვი — შარლეროა	4,4	3,6	1,2
სილკებორგი — ზაგლებიე	1,4	2,8	4,4
ნანტი — კაუნასი	1,05	3,6	8,0
ლილესტრიომი — სლაიგო როვერსი	1,1	3,4	6,5
ლუცერნი — ჰაპოელი (თ)	1,4	3,0	4,0
სვენსტა — ორგრიტე	1,7	2,9	2,8
ანთალიასფორი — ბაზელი	1,6	3,0	3,0
შახტიორი — ატაკა-აურა	1,2	3,2	5,6
კაუჩუკი — კამაზი	2,4	2,6	2,0
ლკს — ვარნა	1,9	2,9	2,3
კარლსრუე — უნივერსიტატია	1,25	3,3	4,7
დაუგავა — ტრნავა	4,7	3,4	1,2
ნარვა — ვრონინგენი	5,6	3,6	1,1
გაზიანთებსფორი — ვაშაში	1,6	3,0	3,0
სტრასბური — ქოჯაელისფორი	1,15	3,4	5,3
ცსკა — ჰიბერნიანსი	1,05	3,6	8,0
დინამო — იარო	1,1	3,3	7,0
კოლხეთი — ზემუნი	ანგარიშის	გამოცნობა	4,0

CROCO-2

ტირაჟი №37

1 შტუტგარტი - ოლბორგი
2 ლუცერნი - ჰაპოელი
3 სვენსტა - ორგრიტე
4 ანთალიასფორი - ბაზელი
5 კაუჩუკი - კამაზი
6 ლკს - ვარნა
7 კარლსრუე - უნივერსიტატია
8 კოლხეთი - ზემუნი

მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ტირაჟში მოცემული 8 მატჩის მხოლოდ ძირითადი დროის შედეგი. მოგებულად ჩაითვლება ბილეთი, რომელშიც გამოცნობილია 8 მატჩის შედეგი (მინიმალური მოგება 40 ლარი). მოგების ფონდს ემატება JACK POT 215 ლარი და 25 თეთრი.

ფსონების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

ფსონები მიიღება ყოველდღე კინოთეატრ „რუსთაველში“ ფურცელაძის ქუჩის მხრიდან 13-დან 16 საათამდე

საღამოს საათებში „კროკო“ იმუშავებს კინოთეატრის მცირე დარბაზში

რეიტერის თვალით

EURO 96 England

ინგლისი	გერმანია	საფრანგეთი	ჩეხეთი
სიმენი 8	კეპკე 8	ლამა 7	კოუბა 7
პირსი 8	როიტერი 7	ტურამი 6	რადა 7
ინსი 9	ფრონდი 8	ლიზარაზუ 7	ჰორნიაკი 6
ადამსი 9	ჰელმერი 8	ბლანი 8	კადლეცი 7
საუთგეიტი 9	ზამერი 9	როში 7	ნოვოტნი 6
პლატი 8	მიოლერი 9	დესაი 7	ნემეჩკი 6
გესქოინი 9	შოლი 7	ზიდანი 8	ნემეცი 7
შირერი 8	კუნცი 9	გერენი 6	ნედვედი 8
შერინგემი 8	ბაბელი 9	ლოკო 6	პობორეკსი 8
ანდერტონი 7	ციგე 8	ჯორკაეფი 7	შმიცერი 7
მაკმანამანი 8	აილტხი 9	ლამუში 6	დრულაკი 5

ერთვალს ჯანსაღად!

ფაბიენ ბარტეზი

საფრანგეთი

25

ფაბიენი „მონაკოში“ თამაშობს. საკვირველიც კია, რატომ არ გამოჰყავთ ნაკრების ძირითად შემადგენლობაში უფრო ხშირად, ნუთუ მას ლამა სჯობია? თითქოს ბარტეზი უფრო დინჯი კაცია და უმარტივეს სიტუაციებში საბედისწეროდ არ აცუნდრუკდება ხოლმე. ალბათ კანის ფერით და ფრანგობითაა დაწუნებული.

უკაცრავად, დელიკატურ თემას შევეხეთ ამ ბგანია დემოკრატიზაციისა და ჰუმანისტური ინტერნაციონალიზაციის ეპოქაში.

სამწუხაროა, რომ ეს ცნობილი მეკარე ევროპის ჩემპიონატის ფინალს შინ უყურებს, ისე სტადიონზე მაინც იქნებოდა.

შტეფან შაპუიზა

შვეიცარია

27

შტეფანი ცოდოა. შესაძლოა, უმაღლესი დონის ვარსკვლავებს ვერ უტოლდება, მაგრამ „მოკედავთა“ შორის ვერავინ დაიკვეხნის, შაპუიზას დიდად ვჯობივარო. არადა, კარგა ხანია, შინაა. შვეიცარიელი რომ არ ყოფილიყო, იქნებ დღესაც ინგლისის ჰაერით ესუნთქა. განა, ვთქვათ, გერმანია დაიწუნებდა შაპუიზასნაირ მებრძოლ, შემტევ, სწრაფ, გულ და მუხლმაგარ ფორვარდს? ცხადია, არა.

დორტმუნდის „ბორუსიაში“ თავის ადგილასაა, მოედანზე სიტყვა ეთქმის და გერმანიის ჩემპიონის სინი ორი წელიწადი ხელთ უპყრია.

საქართველოს 1996/1997 წლების ჩემპიონატის დებულება

გუმინწინ გამართულმა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის სხდომამ იმდენად მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა საქართველოს ჩემპიონატის დებულებაში, რომ მისი სამწყობრე გამოცემა მიდად საჭიროდ ვცანით.

I. მიზანი და ამოცანები

საქართველოს 1996-1997 წლების მერვე ჩემპიონატი მიზნად ისახავს საქართველოში ფეხბურთის შემდგომ განვითარებას და პოპულარიზაციას, საფეხბურთო გუნდების სათამაშო კლასის ამაღლებას, ოფიციალურ საერთაშორისო ასპარეზზე ნამკრები და საკლუბო გუნდების წარმატებების მიღწევას, მერვე ჩემპიონატის გამარჯვებულის და ცალკეულ ჯგუფებში პირველ ადგილზე გასული გუნდების, „ფეფერ-პლეის“ კონკურსში გამარჯვებული გუნდის, ამასთანავე 1997-1998 წლების უფას ოფიციალურ ტურნირებში მონაწილე გუნდების გამოვლენას.

2. ჩემპიონატის ხელმძღვანელობა, ჩატარების დრო და ადგილი

2.1. საქართველოს მერვე ჩემპიონატს ატარებს საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია.

2.2. შეკიბრების ჩატარების დრო განისაზღვრება სფფ-ის მიერ დამტკიცებული ამ შეკიბრების კალენდარის მიხედვით.

2.3. კალენდარული მატჩები გაიმართება საქართველოს ქალაქებისა და რაიონების იმ სტადიონებზე, რომლებიც ჩემპიონატისთვის მიღებულნი იქნებიან სფფ-ის სპეციალური კომისიის მიერ და რომლებიც აკმაყოფილებენ საფეხბურთო მატჩების წესებით გათვალისწინებულ ყველა მოთხოვნას, სტადიონს აუცილებლად უნდა ჰქონდეს მსაჯების და ორივე გუნდისთვის ცალკე გასახდელები რვა ხაზიანი ცხელი შხაპით, ტუალეტით, სკამებით, ტანსაცმლის საკიდებით, სარკით, სამედიცინო ტახტით და მაგიდით.

2.4. თამაშის ტექნიკური ოქმის შესაკუთრებად სტადიონზე გამოყოფილ უნდა იქნას ცალკე ოთახი.

2.5. სათამაშო მოედანი, როგორც წესი, აუცილებლად უნდა იყოს ბალახის საფარიანი და მაგოულბადით (რკინის ბადით) შემოღობილი.

2.6. მასპინძელი გუნდი ვალდებულია სტადიონზე უზრუნველყოს კვალიფიციური მედპერსონალი საკაცით, სასწრაფო სამედიცინო დახმარებისა და სახანძრო დახმარების მანქანები. ასევე საზოგადოებრივი წესრიგის დამცველთა საჭირო რაოდენობით მომსახურეობა, ამასთანავე თამაშის დროს სტუმართა გუნდს, დელეგატს და მსაჯებს მართვას ჩაი და მინერალური წყალი.

2.7. სფფ უფლებამოსილია სპეციალური კომისიის მეშვეობით ნებისმიერ დროს შეამოწმოს სტადიონის ვარგისიანობა და მისი (სტადიონის) უზარსხობის შემთხვევაში ასეთ სტადიონზე აკრძალოს ჩემპიონატის კალენდარული თამაშების გამართვა.

3. ჩემპიონატის მონაწილენი და განაწილება ჯგუფებად

3.1. საქართველოს 1996-1997 წლების მერვე ჩემპიონატი გაიმართება ორ ჯგუფად, ამასთანავე შემოდგომით ჩატარდება შესარჩევი (ზონალური) გათამაშება.

პირველ ჯგუფში დაიშვებიან შემდეგი გუნდები:

1. „დინამო“ (თბილისი)
2. „ბარგული“ (ზესტაფონი)
3. „ოცოლეული 1913“ (ფოთი)
4. „სამტრედია“ (სამტრედია)
5. „ტალანგარი“ (რუსთავი)
6. „დინამო“ (ბათუმი)
7. „ტორპედო“ (ქუთაისი)
8. „ფალი“ (გორი)
9. „ხიონი“ (ბოლნისი)
10. „იბერია“ (ხაშური)
11. „ოდიში“ (ზუგდიდი)
12. „შევარდენი 1906“ (თბილისი)
13. „გურია“ (ლანჩხუთი)
14. „კახეთი“ (თელავი)
15. „ბერანი 91“ (თბილისი)
16. „სამგურალი“ (წყალტუბო)

3.2. მერვე ჩემპიონატში მონაწილე ყველა გუნდი ვალდებულია, დადგენილი განრიგის მიხედვით, სფფ-ში წარმოადგინოს: ა) გუნდის განაცხადი ორ ეგზემპლარად, ბ) გუნდის 2 ცალი ფოტო სურათი, დ) გუნდის ისტორია, ე) მოთამაშეთა ახალი პირადი ბარათები, ვ) მოთამაშეთა პასპორტი, ზ) მწვრთნელთა კონტრაქტი, თ) მოთამაშეთა კონტრაქტი, ი) ცნობა მწვრთნელთა და მოთამაშეთა ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ.

3.3. მოთამაშეთა ჩემპიონატში მონაწილეობის ლიცენზიის მისაღებად და „მონაწილის პირადი ბარათისთვის“ გუნდი ვალდებულია სფფ-ის სასარგებლოდ გადაიხადოს თითოეულ ფეხბურთელზე ათი ლარი.

3.4. გუნდების განაცხადი შესარჩევ თამაშებში მონაწილეობის შესახებ სფფ-ში წარმოდგენილი უნდა იქნას 1996 წლის 1 სექტემბრამდე.

3.5. შესარჩევ გათამაშებაში ზონის სტატუსი მიეცეს აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების და ქ. თბილისის ფეხბურთის ფედერაციებს.

3.6. მერვე ჩემპიონატის პერიოდში ორივე ჯგუფისა და შესარჩევი გათამაშების მონაწილე გუნდის განაცხადში შეყვანილი უნდა იქნეს არა უმეტეს 22 მოთამაშისა.

3.7. ამასთანავე გუნდს უფლება აქვს ჩემპიონატის განმავლობაში განაცხადში შეიყვანოს დამატებით თავის ქალაქის (რაიონის) სპორტსკოლის (1979-1980) წლებში დაბადებული კიდევ ხუთი ფეხბურთელი.

3.8. გუნდის განაცხადი მოწმდება ადგილობრივი ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის, გუნდის ექიმის ხელმოწერებით და შესაბამისი ბეჭდებით.

3.9. განაცხადის დაგვიანებით ან არასრულყოფილი სახით წარმოდგენისთვის კლუბი ჯარიმდება ფულადი თანხით.

3.10. ახალგაზრდა, პერსპექტიული ფეხბურთელებთან გეგმაზომიერი შუამავლის წარმოების მიზნით, კლუბის ძირითადი გუნდისთვის სათანადო რეზერვების მოსამზადებლად პირველი ჯგუფის სავეხბურთო კლუბებს ნება ეძლევათ მეორე ჯგუფში იეოლიონ სარეზერვო გუნდები, რომლებიც ძალიანად დაკომპლექტებული უნდა იქნან 1977 და მომდევნო წლებში დაბადებულ ჭაბუკებით.

3.11. პირველ ჯგუფის გუნდს უფლება აქვს თავისი კლუბის სარეზერვო, ახალგაზრდული გუნდიდან ჩემპიონატის ნებისმიერ თამაშში გამოიყენოს მოთამაშენი. მაგრამ თითოეულ თამაშში არაუმეტეს ხუთი ფეხბურთელისა.

3.12. გუნდს, რომლის ფეხბურთელები დადგენილი წესის მიხედვით გადაელენ უცხოეთის კლუბებში, ან გაწვეულნი იქნებიან საქართველოს საკალდებულო სამხედრო სამსახურში ჩემპიონატის მსვლელობის პერიოდში, უფლება ეძლევა განაცხადში დამატებით შეიყვანოს იმავე რაოდენობით სხვა ფეხბურთელები.

3.13. უცხოელ ფეხბურთელად ითვლება ის მოთამაშე, რომელსაც არა აქვს საქართველოს მოქალაქეობა.

3.14. გუნდს უფლება აქვს ჩემპიონატის მსვლელობის დროს საქართველოს საზღვრებს გარეთ მოიწვიოს ერთი უცხოელი მოთამაშე, რომელზეც სფფ-ში უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ქვეყნის ნაბართვა (სერთიფიკატი) საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეობის ნებართვის თაობაზე.

3.15. მერვე ჩემპიონატის მიმდინარეობის დროს მოთამაშეს ერთი გუნდიდან მეორე გუნდში გადასვლა შეუძლია მხოლოდ ერთხელ 1996 წლის 20 დეკემბრიდან 1997 წლის 20 თებერვალამდე.

3.16. უცხოეთიდან მოწვეულ ფეხბურთელებზე ვრცელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა.

3.17. მერვე ჩემპიონატში მონაწილეობისთვის საზღვარგარეთის ქვეყნებიდან „მოვლენული მოთამაშის“ სტატუსის მქონე მოთამაშის მოწვევა აკრძალულია.

3.18. საზღვარგარეთის ქვეყნებში მოთამაშეთა გადასვლის საკითხი განიხილება ინდივიდუალურად და გადაწყდება სფფ-ის შესაბამისი კომიტეტის მიერ.

3.19. საქართველოს ეროვნულ არმიელებს, შესაბამისი სამხედრო ნაწილის ხელმძღვანელების თანხმობით, ნებისმიერ დროს უფლება აქვთ სათამაშოდ გადავიდნენ ამ ქალაქის გუნდში, სადაც განლაგებულია მათი სამხედრო ნაწილი, თუნდაც იმ შემთხვევაში, თუ ისინი მიმდინარე ჩემპიონატში გამოდიოდნენ სხვა გუნდის შემადგენლობაში.

3.20. არმიელ გუნდებს არაუმეტეს ორწლიანი კონტრაქტის დადების უფლება აქვთ საქართველოს სამხედრო სამსახურში გაწვეულ მოთამაშეებთან.

3.21. არმიელ გუნდებს უფლება ეძლევათ განაცხადში დამატებით შეიყვანონ იმდენივე ახალი მოთამაშე, რამდენიც ჩემპიონატის მსვლელობის პერიოდში დემობილიზებული იქნება საკალდებულო სამხედრო სამსახურიდან.

3.22. საკალდებულო სამხედრო სამსახურიდან დემობილიზებულ მოთამაშეებს უფლება ეძლევათ ჩემპიონატის მიმდინარეობის დროს თამაში გაგრძელონ ნებისმიერ გუნდში.

3.23. საკალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვეულ მოთამაშეებს ნებისმიერ დროს შეუძლიათ თამაშონ არმიელ გუნდში ან სამხედრო ხელმძღვანელობის თანხმობით იმ ქალაქის, რომლის ტერიტორიაზეცაა განლაგებული მისი სამხედრო ნაწილი, თუნდაც იმ შემთხვევაში, თუ ისინი მიმდინარე ჩემპიონატში გამოდიოდნენ სხვა გუნდის შემადგენლობაში.

3.24. ევროპულ საკლუბო ტურნირებში, მათ შორის ინტერ-ტოტოს გათამაშებაში მონაწილე გუნდებს ნება ეძლევათ სამხრეთი შეთანხმების (გუნდები, ფეხბურთელი) შემდეგ სხვა გუნდებიდან მოიწვიონ მოთამაშენი, რომლებსაც უფლება ეძლევა ნებისმიერ დროს დაუბრუნდნენ თავიანთ კლუბებს.

4. ჩემპიონატის ჩატარების სისტემა და პირობები

4.1. ჩემპიონატში მონაწილე გუნდები ვალდებულნი არიან ჩემპიონატის განსხვავებული ცერემონიალი მოაწყონ საზეიმო ვითარებაში.

4.2. ორივე ჯგუფსა და შესარჩევ გათამაშებაში შეკიბრება ჩატარდება წრიული სისტემით ორ წრედ, თამაშები გაიმართება საკუთარ და მოწინააღმდეგე გუნდების მოედნებზე.

4.3. პირველ ჯგუფში ბოლო სამ ადგილზე გასული გუნდი საქართველოს 1997-1998 წლების მეცხრე ჩემპიონატში გამოვა მეორე ჯგუფში.

4.4. მეორე ჯგუფის თითოეულ ქვეჯგუფში მეათე და მომდევნო ადგილებზე გასული გუნდები მეცხრე ჩემპიონატში ისასპარეზებენ მესამე ჯგუფში, სადაც გუნდები განლაგდებიან ტერიტორიული პრინციპით.

4.5. საქართველოს 1996-1997 წლების მერვე ჩემპიონატის მეორე ჯგუფის თითოეულ ქვეჯგუფში პირველ ადგილებზე გასული გუნდები მომდევნო მერვე ჩემპიონატში ითამაშებენ პირველ ჯგუფში, ხოლო მეორე ჯგუფის ქვეჯგუფებში მეორე ადგილზე გასული გუნდები, ნეიტრალურ მოედანზე ფიფას წესებით, ატარებენ ერთ თამაშს. ამ თამაშში გამარჯვებული გუნდი საქართველოს 1997-1998 წლების მეცხრე ჩემპიონატში გამოვა პირველ ჯგუფში.

4.6. შესარჩევი პირველობის გათამაშებაში გამარჯვებული ორი გუნდი მომდევნო მეცხრე ჩემპიონატში ისასპარეზებს მესამე ჯგუფში.

4.7. მერვე ჩემპიონატში ქულების დარიცხვა მოხდება შემდეგნაირად: მოგება — 3 ქულა, ფრე — 1 ქულა, დამარცხება — 0 ქულა.

4.8. საქართველოს 1996-1997 წლების მერვე ჩემპიონატის ყველა ჯგუფის და შესარჩევი გათამაშების კალენდარულ თამაშებში თითოეული გუნდისთვის ნებადართულია სამი ფეხბურთელის შეცვლა.

4.9. როგორც პირველი ასევე მომდევნო ადგილების გასარკვევად, თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში, პირველ რიგში უპირატესობა მიენიჭება მოგებათა მეტ რაოდენობას, შემდეგ მხედველობაში მიიღება უშუალოდ ერთმანეთში შეხვედრების შედეგები (ჯერ ქულათა რაოდენობა, მერე კი ბურთების უკეთესი სხვაობა), შემდეგ კი უპირატესობა მიენიჭება გუნდს, რომელსაც ჩემპიონატში გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობა ეშენა, შემდეგ გატანილი გოლების რაოდენობას, შემდეგ მოწინააღმდეგეთა კარებში გატანილი გოლების რაოდენობას, ბოლოს კი „ფეფერ-პლეის“ შედეგებს, თუ გუნდებს ეს მაჩვენებლებიც თანაბარი აღმოაჩნდებათ, დაკავებული ადგილების გამოსავლენად მოეწყობა კენჭისყრა.

4.10. გუნდის მწვრთნელი ვალდებულია შეხვედრის დაწყებამდე 45 წუთით ადრე მატჩის ტექნიკურ ოქმში შეიყვანოს არაუმეტეს 16 მოთამაშე ყოველ ფეხბურთელს ოქმში შეყვანილი რიგის შესაბამისად, მაისურზე უნდა ჰქონდეს ნომერი, პირველიდან მეთექვსმეტე ნომრის ჩათვლით, სათადარიგო მეკარეს მეთექვსმეტე ან მეთორმეტე ნომერი.

4.11. მოთამაშეს მაისურზე, მკერდის მარჯვენა მხარეს, უნდა ჰქონდეს (ეკეთოს) თავისი კლუბის ემბლემა, რომლის ზომები არ უნდა აღემატებოდეს 15 სმ X 15 სმ. მაისურზე ნომრის ზომებია: სიმაღლე 25 სმ, ხაზის სიგანე 3 სმ. თუ მაისური ზოლანია, ამ შემთხვევაში მაისურზე ნომერი თეთრ ფონზე უნდა იქნეს გაკეთებული.

4.12. პირველ რიგში თამაშის ტექნიკურ ოქმს ავსებს მასპინძელთა გუნდის წარმომადგენელი.

4.13. თამაშის მსაჯები და დელეგატები ვალდებულნი არიან თამაშის წინ ერთი საათით ადრე შეამოწმონ გუნდების ფეხბურთელთა პირადი მონაწილის ბარათები, რომელსაც მონაწილის ბარათი არ გააჩნია, მატჩზე არ დაიშვება. მსაჯები და დელეგატი ასევე ამოწმებენ მოთამაშეთა მაისურის ფერებს, რათა ხელი არ შეეშალოს სატელევიზიო რეპორტაჟს. თუ გუნდების სათამაშო ფორმა ერთნაირია დელეგატის მოთხოვნით ფორმა უნდა გამოიცვალოს მიმლებმა (მასპინძელმა) გუნდმა.

4.14. მიმღები გუნდი ვალდებულია მსაჯებს წარუდგინოს სულ ცოტა ორი სათამაშო სრულფასოვანი ბურთი, მიმღები გუნდი ვალდებულია მსაჯებს წარუდგინოს სულ ცოტა ორი სათამაშო ისეთი ბურთი, რომელსაც გაკეთილი აქვთ აპრობაცია და აქვთ დამღა ერთ-ერთი შემდეგი წარწერით:

1. FIFA APPROVED
2. FIFA INSPECTED
3. INTERNATIONAL STANDARDS

4.15. თამაშის შემდეგ პერიოდულად მოხდება შერჩევით ფეხბურთელთა სადოპინგო შემოწმება.

4.16. გუნდის მწვრთნელს უფლება არა აქვს ითამაშოს ჩემპიონატის კალენდარულ მატჩში.

4.17. სფფ უფლებამოსილია ნებისმიერ დროს, კლუბთან შეთანხმების შემდეგ შეამოწმოს გუნდში მიმდინარე სასწავლო-საწვრთნელი პროცესი, სათანადო დოკუმენტაცია და არაკვალიფიცირი მწვრთნელის მიმართ მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება, მისი საწვრთნელი მუშაობიდან გათავისუფლების მოთხოვნამდე.

4.18. სფფ-თან შექმნილი სპეციალური საკრმტო კომისია უფლებამოსილია თამაშის დელეგატის, მსაჯების, ადგილობრივი ფეხბურთის ფედერაციების მოხსენებითი ბარათის საფუძველზე იმსჯელოს წინასწარ გარიგებული თამაშის შესახებ და სალისიენზიონო „ლიცენზიის“ წარდგენის თავისი გადაწყვეტილება თამაშის შედეგის გაუქმებაზე.

4.19. კლუბი, რომლის ფეხბურთელი დაკარგავს „მონაწილის ბარათს“, ჯარიმდება 100 (ასი) ლარით.

4.20. საქართველოს ეროვნული ნაკრები გუნდს ყვავრს უფლება აქვთ მერვე ჩემპიონატში ითამაშონ საქართველოს ვერძიანი მასიურით თბილისის „დინამოს“, როგორც 1995-1996 წლების მე-7 ჩემპიონატის გამარჯვებულს, უფლება აქვს ნებისმიერ თამაშში გამოვიდეს თავისი ჯარით.

4.21. თამაშის ოქმს მატჩის დაწყებამდე ხელს აწერენ გუნდის კაპიტნები, გუნდის წარმომადგენლები და მთავარი მსაჯი.

4.22. თამაშის დროს სათადარიგოთა სკამზე სხდებიან შემდეგი პირები: მატჩის ოქმში შეყვანილი სათადარიგო ფეხბურთელები (5 კაცი), მწვრთნელები (3 კაცი), თითო ექიმი და მასაჟისტი, სულ ათი კაცი, რომლებიც აუცილებლად უნდა იყვნენ შეყვანილნი თამაშის ოქმში. კლუბის პრეზიდენტი და სხვა ხელმძღვანელები თამაშის დროს სხდებიან სასტუმართთვის გამოყოფილ ადგილზე.

4.23. სათადარიგოთა ფეხბურთელებს თამაშის დროს უფლება არა აქვს მოთელვა ჩაატარონ კარებს უკან.

4.23. მიმღები გუნდი ვალდებულია სტუმართა გუნდს, შეტყობინების საფუძველზე, ერთი დღით ადრე დაუყოვნებლივ სასტუმროში არანაკლები 28 ადგილი, დაეხმაროს მას კვებისა და შინ გამგზავრების ორგანიზაციაში. თამაშის წინა დღეს გუნდს მისცეს სათამაშო მოედანზე ვარჯიშის უფლება.

4.25. კლუბი ვალდებულია გუნდიდან გათავისუფლებული ფეხბურთელის „მონაწილის ბარათი“ 48 საათის განმავლობაში ჩააბაროს სფფ-ის შესაბამის კომიტეტს და ამავე დროის განმავლობაში წერილობით აცნობოს ფედერაციას ასეთი ფეხბურთელის გუნდიდან წისქვილის მიზეზი, წინააღმდეგ შემთხვევაში გუნდი ჯარიმდება 100 (ასი) ლარით.

4.26. საქართველოს 1996-1997 წლების მერვე ჩემპიონატისა და თასის გათამაშების ორგანიზებულად ჩატარებასთან დაკავშირებული სამეურნეო ხარჯების დასაფარავად საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში გუნდები რიცხავენ 1 000 (ერთი ათასი) ლარს. სფფ-ის რეკვიზიტებია: საქართველოს უნივერსალური ბანკი „მონეტა“, ანგარიშის № 000609501, საკორესპონდენტო ანგარიშის № 000161909, მფო 527088, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია.

4.27. სფფ-ის ანგარიშზე გუნდების მიერ გადმორიცხული თანხა უნდა მოხდეს ა/წლის 20 ივლისამდე.

4.28. საქართველოს 1996-1997 წლების მერვე ჩემპიონატში და მეშვიდე თასის გათამაშებაში ჩარიცხული გუნდები ვალდებულნი არიან თამაშის ოქმის შევსებამდე, ადგილზე, სპეციალური უწყისით, მსაჯებსა და თამაშის დელეგატს სამსაჯო და საინსპექტორო მომსახურეობისათვის აუნაზღაურონ თანხა შემდეგი ნუსხით: პირველი ჯგუფის თამაშებზე — მთავარ მსაჯს 80 ლარი, გვერდით მსაჯებს, დამხმარე მსაჯსა და თამაშის დელეგატს თითოეულს 60 ლარი; მეორე ჯგუფის თამაშებზე — მთავარ მსაჯს 60 ლარი, გვერდით მსაჯებს და დელეგატს თითოეულს 40 ლარი.

5.14. ასეთ ფეხბურთელებზე, აგრეთვე ამ კლუბებზე, რომლებიც სფფ-ის მოწვევით ნაკრებ გუნდებში არ მიაელენენ მოთამაშეებს, სფფ-ის სადისციპლინო კომიტეტი უფლებამოსილია დისკვალიფიკაციის გარდა მიიღოს უფრო მკაცრი ადმინისტრაციული ზომები და დააწესოს ფულადი ჯარიმები.

6. საჩივრის შეტანის წესი

6.1. გუნდის ხელმძღვანელობა, რომელსაც შეაქვს საჩივარი თამაშის შედეგის გაუქმების შესახებ, ვალებულია ამის შესახებ აცნობოს მსაჯს, დელეგატს და მოწინააღმდეგე გუნდის ხელმძღვანელობას. ამასთანავე, გასაჩივრებული მატჩის თაობაზე წერილობითი საჩივარი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში კლუბის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას 24 საათის განმავლობაში. ასეთი თამაშის შესახებ წერილობითი ახსნა-განმარტება 24 საათის განმავლობაში სფფ-ში უნდა წარმოადგინონ თამაშის მსაჯებმაც და კომისარმაც.

6.2. საჩივრის განხილვამდე კლუბი ვალდებულია სფფ-ის ანგარიშზე ჩარიცხოს ხუთასი ლარი და წარმოადგინოს ამ თანხის ჩარიცხვის დამადასტურებელი საბუთი.

6.3. აღნიშნული მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში სფფ საჩივარს განსახილველად არ მიიღებს.

6.4. იმ შემთხვევაში, თუ დისციპლინალური კომიტეტი მომჩივან გუნდს გაამართლებს, სფფ-ში გადმორიცხული ფულადი თანხა კლუბს უკან უბრუნდება.

6.5. საჩივრის განხილვისას სადისციპლინო კომიტეტი ხელმძღვანელობს მხოლოდ მსაჯების და თამაშის დელეგატის მოხსენებითი ბარათით.

6.6. ვიდეო ჩანაწერი შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ სადისციპლინო საკითხების შასაწყალად.

6.7. ჩემპიონატის კალენდარული თამაში მსაჯის შეცდომების გამო არ გადათამაშდება.

7. მსაჯობა

7.1. საქართველოს 1996-1997 წლების მერვე ჩემპიონატის თამაშებს მიემსახურებიან მსაჯთა კომიტეტის მიერ რეკომენდირებული და ფეხბურთის ფედერაციის მიერ აღმასკომის სხდომაზე დამტკიცებული მსაჯები და დელეგატები.

7.2. გუნდს უფლება არა აქვს მოითხოვოს თამაშზე სფფ-ის მიერ ბრძანებით დანიშნული მსაჯების შეცვლა.

7.3. პირველი ჯგუფის თამაშებზე სფფ უფლებამოსილია ბრძანებით დანიშნოს ოთხი მსაჯი, მათ შორის ერთი სათადარიგო.

7.4. ადგილობრივი ფეხბურთის ფედერაციები და საფეხბურთო კლუბები ვალდებულნი არიან კალენდარულ თამაშებზე ბრძანებით დანიშნონ სათადარიგო ადგილობრივი კვალიფიციური მსაჯები, რომელთაც ეკალენდამ მატჩის ჩატარება სფფ-ის მიერ დანიშნულ მსაჯების გამოუცხადებლობის შემთხვევაში. სათადარიგო მსაჯებზე ადგილობრივი ფედერაციების ან საფეხბურთო კლუბის მიერ გადოდნინ მოხსენებითი ბარათი საკუთარი გადაწყვეტილების დასაბუთებით მსაჯის მოხსენებით ბარათს უნდა ერთვოდეს გაძევებული „ფეხბურთელის მონაწილის ბარათი“), ხოლო მატჩის დროს მომზადარი საგანგებო შემთხვევის შესახებ მსაჯმა იმავე დღეს ტელეფონით უნდა აცნობოს სფფ-ს.

7.8. ექსტრემალური სიტუაციის გამო თამაშების დაწყების, ან დაწყებული თამაშის შეწყვეტის საკითხს წყვეტს თამაშის მთავარი მსაჯი.

7.9. მსაჯი ვალდებულია თამაშის დამთავრებისთანავე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას აცნობოს მისი შედეგი, გოლის ავტორები და დისციპლინალური დარღვევები, ამ საქმეში მთ ვალდებულნი არიან დაეხმარონ მასპინძელთა გუნდის ხელმძღვანელობა.

7.10. მსაჯი ვალდებულია გუნდის თამაშზე დაგვიანება გააფორმოს თამაშის ოქმში, რომლის შესახებაც აცნობოს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას.

7.11. თამაშის დაწყების დროს განსაზღვრავს საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, კერძოდ: თამაშები ყველა სტადიონზე მაისში, ივნისში, ივლისსა და აგვისტოში უნდა დაიწყოს 18-00 საათზე, სექტემბერში — 17-00 საათზე, აპრილსა და ოქტომბერში — 16-00 საათზე, თებერვალში, მარტში, ნოემბერსა და დეკემბერში — 15-00 საათზე, რომლის შესახებაც მაყურებელი ინფორმირებული უნდა იყოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებით (პრესა, ტელევიზია, რადიო, აფიშა).

8. დაჯილდოება

8.1. საკრთველოს 1996-1997 წლების მერვე ჩემპიონატის პირველი ჯგუფის გამარჯვებულ გუნდს, ფეხბურთელებს და ხელმძღვანელობას ენიჭებათ ჩემპიონის წოდება, გუნდი ჯილდოდება გარდამავალი თასითა და დიპლომით, ხოლო ხელმძღვანელობა და ის მოთამაშენი, რომელთაც ჩემპიონატის კალენდარული მატჩების 50 პროცენტი მაინც ექნება ნათამაშები, ჯილდოდებიან ოქროს მედლებით.

8.2. მეორე და მესამე ადგილებზე გასული გუნდების ფეხბურთელები და ხელმძღვანელობა ჯილდოდება შესაბამისად ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებით.

8.3. 1997-1998 წლების ევროპის საკლუბო ტურნირებში, მათ შორის ინტერ-ტოტოს გათამაშებაში საქართველოს გუნდების მონაწილეობის საკითხს წყვეტს საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია გუნდების მიერ მერვე ეროვნულ ჩემპიონატში და მეშვიდე თასის გათამაშებაში ძალწეული წარმატებების მიხედვით.

8.4. საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია უფლებამოსილია არ დაუშვას ევროპულ საკლუბო ტურნირებზე ისეთი გუნდები, რომლებიც თავიანთი მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური შესაძლებლობით ვერ აკმაყოფილებენ იმ მოთხოვნებს, რასაც უყენებენ ევროტურნირებში მონაწილე გუნდებს და მათ ქალაქებს.

ფორმულა 1-ის კულუარებში

შუმახერი ჩვენთან რომ დარჩენილიყო, უკვე ჩემპიონი იქნებოდა



ამბობს „ბენეტონის“ შეფი **ფლავიო ბრიატორე** „შპორტ-ბილდისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

— თქვენ ფორმულა 1-ის კონსტრუქტორთა ასოციაციის თავკაცი ბერნი ეკლსტონი თავის მემკვიდრედ მიგიჩნევთ ...

— ამის შესახებ პირველად თქვენგან მესმის. ეს უდაოდ ჩემი დაფასება იქნება, მაგრამ ჯერჯერობით მომავალს „ბენეტონის“ გუნდს ვუკავშირებ.

— გუნდის შეფი თავის პილოტებზე და გუნდის სხვა ნევრებზე მეტად და უკეთ ირჯებოდა?

— არა. ვიგებთ თუ ვაგებთ, ყველაფერს ერთად ვაკეთებთ. ჩვენ შარშან შევქმენით ისეთი მანქანა, რომლითაც შუმახერმა ჩემპიონობა მოიპოვა. ახლა მის გაუმჯობესებაზე ვმუშაობთ.

— თქვენივე პილოტი უან ალეზი მკაცრად გააკრიტიკეთ ...

— ჩვენ ღია დისკუსია გავმართეთ. უანი ძლიერ და სწრაფ მრბოლად მიმაჩნია და მისი იმედიც მაქვს. საქმე ისაა, რომ „უილიამსისგან“ კარდინალურად განსხვავებული მანქანის შექმნა მწადია. ვიმედოვნებ, ამ პრობლემასაც საერთო ძალისხმევით გადავწყვეტთ.

— როგორ ფიქრობთ, მოიგებდა შუმახერი ნლევანდელ ჩემპიონატს, „ბენეტონით“ რომ ეასპარეზა?

— უკვე ერთზე მეტი გამარჯვება ექნებოდა აქტიეში, მაგრამ არა იმიტომ, რომ მიხაელი ბერგერზე ან ალეზიზე ბევრად კარგი პილოტია. უბრალოდ, მას გუნდთან მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს, გერჰარდი და უანი კი ახალბედები არიან. თუმცა, დარწმუნებული ვარ, ამათაც შესნევთ გამარჯვების უნარი.

— ხომ არა გსურთ, შუმახერი კვლავ თქვენს გუნდში რომ იხილოთ?

— მიხაელი უდაოდ მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო პილოტია და ამასთან მსოფლიოს ჩემპიონიცაა. ყველა გუნდი უდიდესი სიამოვნებით იყოლიებდა ფორმულა 1-ის ჩემპიონს.

— გავრცელდა ჭორი, რომ თქვენ მისი ძმით, რალფით ხართ დაინტერესებული.

— ეს მართლაც ჭორია. რალფს ვიცნობ. ის 20 ნლისაა და ჯერჯერობით თავი უნდა გამოაელინოს, რათა მისით ვინმე სერიოზულად დაინტერესდეს. რალფის წარმატებები მისი სამომავლო კარიერის საწინდარი იქნება.

— ესე იგი, გაისადაც არ აპირებთ მასთან კონტრაქტის დადებას?

— არა, ეს თანამშრომლობა ნაადრევად მიმაჩნია. ჩვენი პილოტები უან ალეზი და გერჰარდ ბერგერი იქნებიან.

— თუ შეძლებს შუმახერი რამდენიმე ნლევანდელი რბოლის მოგებას?

— ამის დიდი იმედი არა მაქვს. მაგრამ ეს მხოლოდ ჩემი პირადი აზრია.

— არ მინდა გული გატკინოთ, მაგრამ ამჟამად „ფერარი“ „ბენეტონზე“ უკეთესია. ნელს იმიტომ ხომ არ შეცვალეთ ინგლისური ლიცენზია იტალიურით, რომ „ფერარი“ გაგებრაზებინათ?

— იტალიური ლიცენზიით იმიტომ ვასპარეზობთ, რომ იტალიური გუნდი ვართ. მშვენივრად ვიცი, რომ „ფერარი“ მუდამ აჯობებს „ბენეტონს“, მაგრამ ჩვენ მას ბევრით არ ჩამოვუვარდებით. იმას, რომ ჩვენ უკეთესი მანქანა გვყავს, სეზონის ბოლოს მიღნეული შედეგებიც დაადასტურებს.

— „რენოსთან“ 1997 ნლის ბოლომდე გაქვთ კონტრაქტი. ამბობენ, მისი ამოწურვის შემდეგ „რენო“ აღარ აპირებს თქვენთან თანამშრომლობასო.

— მე კი მსურს „რენოსთან“ კვლავ ვითანამშრომლო. შესანიშნავი ინჟინრები პყავთ. იმედი მაქვს, ჩვენი საკონტრაქტო ურთიერთობა არც 1997 ნლის შემდეგ შეწყდება.

გერმანულიდან თარგმნა
ერეკლე კიკილაშვილმა

ჩოგბურთი

ის ვეღარაა, რაც იყო, რადგანაც არის...

უიმბლდონის მესამე დღესაც გავარდნენ განთესილები. ესენი, რა თქმა უნდა, თავისთავად ფრიად პატივსაცემი ხალხია, მაგრამ, აბა, მაინც სად მოვლენ დიდი სლემის ტურნირების 9-გზის გამარჯვებულ მონიკა სელეშთან, აქამდე რომ ვერაფრით მოუგია უმთავრესი სბალახო ტურნირი და ვერც ამჯერად მოიგებს, რადგანაც მეორე წრეში გამოკლდა შეჯიბრს.

დიდ ჩოგბურთში დაბრუნებული ჯარსკვლავის მორიგი მარცხი — სელეში ხომ ვერც საფრანგეთის პირველობის ფინალამდე მივიდა — უთუოდ სკეპტიკურად განაწყობს გულშემატკივართა ლიანგს. ესენი მოყვებიან მტკიცებას, მონიკა ძველ დიდებას ვეღარასოდეს დაიბრუნებსო. სწორედ ამაზე თქმულა, აღდგომა და ხვალეო!

სელეშის ხანა აღარასოდეს დადგება. გაცდენილმა წლებმა თავისი ჰქნეს

მესამე დღე (მეორე წრე)
ოთხშაბათი, 26 ივნისი

ქალთა პირველობა

მონიკა სელეში (აშშ, 2) — კატარინა სტუდენიკოვა (სლოვაკეთი) 5:7, 7:5, 4:6. სლოვაკი 23 წლისა და მსოფლიოს 59-ე ჩოგანია. სელეშს ნლევანდელ ავსტრალიის ღია პირველობაზე უკვე გადაეყარა და ორად-ორი გეიმი მოუგო. თუმც, როგორც მატჩის შემდეგ განაცხადა, თავისთვის დასაკვნა, თუ უფრო აგრესიულად ვეთამაშები, შეიძლება კიდეც დავამარცხო.

ამერიკელი ქალი ბევრს სცოდავდა: სუსტად აწვდიდა, პაერიდან არ ურტყამდა და უნებური შეცდომაც ბევრი მოსდიოდა. ვერც ფსიქოლოგიურად ივარგა: მესამე, გადამწყვეტ ხელს 4:2 იგებდა, მაგრამ მაინც წააგო. სტუდენიკოვამ ფორ-პენდებით მოაწონა ხალხს თავი.

არანჩა სანჩეს-ვიკარიო (ესპანეთი, 4) — მირიამ ორემანსი (პოლანდია) 7:5, 6:3

ანკე პუბერი (გერმანია, 5) — პამ შრაივერი (აშშ) 6:2, 6:1. ბებერმა, მაგრამ კარგად შენახულმა შრაივერმა უკანასკნელად — მე-17-ედ იასპარეზა უიმბლდონში და აღიარა, მართალია, ერთობ რთული შეჯიბრია, მაგრამ მაინც მიყვარსო. ქალიშვილის ბოლო თამაშს პამელას დედაც დაესწრო. შრაივერს მონაწილეობა არ ეკუთვნოდა, მაგრამ მასპინძლებს ვაილდ-ქარდი სთხოვა და ამათაც არ დაამადლეს.

მერი-ჯო ფერნანდესი (აშშ, 9) — სანდრინ ტესტიუ (საფრანგეთი) 6:4, 6:4; ბრენდა შულც-მაკგაფი (პოლანდია, 11) — ჯოლინ ვატანაბე (აშშ) 6:3, 6:0

გავარდა ორი განთესილი: ამანდა კეტცერი (სამხრეთი აფრიკა, 14) — მერედით მაკგაფი (აშშ) 6:7, 6:2, 3:6; ირინა სპირლეა (რუმინეთი, 15) — ინეს გორონატეგი (არგენტინა) 3:6, 6:2, 4:6

ვაჭთა პირველობა

გავარდა მორიგი განთესილი: თომას ენკვისტი (შვედეთი, 9) — მალივაი ვოშინგთონი (აშშ) 4:6, 6:7 (5-7), 3:6. პონტევედრელმა ზანგმა ერთობ შეაქო უიმბლდონი, მსიამოვნებს აქ ასპარეზობა, რადგანაც ტრადიციას ერთობ უფრთხილდებიან — გასახდელებშიც კი ლაქიები გვყავს მოჩენილი. ამიტომაა, ვისაც უიმბლდონი არ დაუჭაშნიკებია, არ იცის, რაა ჭეშმარიტი ჩოგბურთიო.

ამის შემდეგ შეჯიბრს ოთხი კარგი მოთამაშეა შემორჩა: სამპრასი, ბეკერი ივანიშევიჩი და შტიხი.

მიხაელ შტიხი (გერმანია, 10) — შენგ სხალკენი (პოლანდია) 6:3, 3:6, 6:1, 6:2. თამაში წინა დღიდან გადმოიდო მესამე ხელში.

ბორის ბეკერი (გერმანია, 2) — თომას კარბონელი (ესპანეთი) 4:6, 6:3, 6:4, 6:2. ბორისი ჯანზეა. შარშან აქ ფინალშიც ითამაშა, უიმბლდონი კი პირველად ამ 11 ნლის წინ მოიგო, 17 ნლის ბიჭი რომ იყო.

ვეინ ფერერა (სამხრეთი აფრიკა, 11) — ანდრეა გაუდენციი (იტალია) 7:5, 7:5, 6:4; თიდ მარტინი (აშშ, 13) — ჯიმ გრეგი (აშშ) 6:2, 6:4, 7:6 (7-5)

აგასის მძლეველმა დაგ ფლექმა (აშშ) ისევ მოიგო: 2:6, 6:3, 6:3, 6:4 დაამარცხა იარიდ პამერი (აშშ).

ერთი-ორი საგულისხმო შედეგიც: მაგნუს გუსტავსონი (შვედეთი) — თიდ ვუდბრიჯი (ავსტრალია) 7:6 (7-5), 6:3, 6:2; ბოპდან ულიპრახი (ჩეხეთი) — ფილიპ დეკეულენი (ბელგია) 1:6, 6:2, 6:1, 6:4

გუშინ (მეორე წრე)

გორან ივანიშევიჩი (ხორვატია, 4) — პიერ ბუტეირე (საფრანგეთი) 7:5, 6:4, 6:4 (საათსა და 28 წუთში)

პიტ სამპრასი (აშშ, 1) — მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია) 7:6 (7-4), 6:4, 6:4. ამერიკელმა ამ მეტოქესთან წლევანდელ ავსტრალიის ღია პირველობაზე ნააგო, ახლა კი მეტოქე უსიტყვოდ დაამარცხა.

ირაკლი ნინუა

17,82 მ

მსოფლიოს ჩემპიონმა და რეკორდსმენმა, უელსელმა სამმხტომელმა ჯონათან ედვარდსმა, ვისაც ბრიტანელ ოლიმპიელთა შესარჩევი შეჯიბრი გაუცდა, ტრავმა მოიშუშა და ოთხშაბათს სეზონის საუკეთესო შედეგიც გაახერხა — 17 მეტრსა და 82 სანტიმეტრზე გადახტა. მსოფლიო რეკორდი 18, 29 მეტრია.

ოლიმპიადა

ბრიტანელი ჯარსკვლავი უფრთხის

ატლანტის ოლიმპიადა — ეს ამერიკელ ორგანიზატორთა ოცნებაა, ოლიმპიადა — ეს ამერიკელ ბიზნესმენთა ოცნებაა, ოლიმპიადა — ეს ამერიკელ ტელევიზიათა ოცნებაა, ოლიმპიადა — ეს ამერიკელ ოლიმპიელთ